თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3271238

ნომერი: AR1503236

თარიღი : 12.05.2017

გაცემის თარიღი : 19.05.2017

გაცნობის თარიღი : 20.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , გიორგი ბრწყინვალესა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ გიორგაძე პ/ნ 01024004817
- გ.ბრწყინვალეს და ფარნავ. გადაკ.(14/001)

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3027355 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 12 მაისის №AR1503236 განცხადებით მომართა მოქ. მარიამ გიორგაძემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3027355 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3027355 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, დასახლება დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალესა და ფარნავაზის ქუჩების გადაკვეთაზე, შპს "მეგობრობა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.06.014.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებლი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 1758.96 კვ.მ ნაცვლად 1714.44 კვ.მ-სა, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 13687.11 კვ.მ ნაცვლად 13642.59 კვ.მ-სა.

სამსახურმა 2017 წლის 12 მაისის №AR1503236 განცხადებით მოთხოვნილი ცვლილება შეადარა სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3027355 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3027355 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3027355 ბრძანებაში, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 1758.96 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 13687.11 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3027355 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №3027355 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.